ეროვნული ბიბლიოთეკა

20-26 აგვისტო 1994 წ.
№27 (10895) ● ფასი 70 000 კუპ.
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# თამაზ ყულოშვილის ოქროს მედალი

## ნახევარი გუნდით — მეხუთე ადგილზე

თავისუფალი ჭიდაობის მოყვარულთა ყურადღება ამ დღეებში მიპყრობილი იყო ფინეთის პროვინციულ ქალაქ კურტანესკენ, რომელმაც ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატს უმასპინძლა. ასპარეზობა ასაკობრივი რეგლამენტის მიუხედავად, არაფრით ჩამოუვარდებოდა სხვა, უფრო მასშტაბურ შეჯიბრებას. ფინეთის საჭიდაო ლეიბზე მომავალი ფავორიტებიც გამოდიოდნენ. საქართველოს ხუთი წარმომადგენელი იბრძოდა ჩემპიონის სახელისთვის (უსახსრობის გამო მეტის გაგზავნა ვერ მოხერხდა). მათგან ორმა პრიზიორის საპატიო სახელი მოიპოვა. თავი ისახელა გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვების მკვიდრმა თამაზ ყულოშვილმა (მწვრთნელი ავთანდილ ოთიაშვილი), რომელმაც ტოლი არავის დაუდო 52 კგ. წონით კატეგორიაში და შინ ოქროს მედლით დაბრუნდა. გორელი დავით პოლოსიანი კი (მწვრთნელი ნუგზარ სხიერელი) ვერცხლის მედალს „შესწვდა". მათმა თანაგუნდელებმა თბილისელმა დავით ბიჩინაშვილმა (74), ყვარლელმა მამუკა ფრენუაშვილმა (მძიმე წონა) და თბილისელმა კობა ტყეშელაშვილმა (100) შესაბამისად, მეოთხე-მეხუთე ადგილები დაისაკუთრეს. საქართველოს ნაკრებმა გუნდური V ადგილი დაიმკვიდრა, რუსეთის, უკრაინის, გერმანიისა და თურქეთის მოჭიდავეთა შემდეგ.



ამ დღეებში ჩვენი თავისუფალი სტილით მოჭიდავეები გაემგზავრებიან სტამბულს, სადაც 26-28 აგვისტოს გაიმართება მსოფლიო პირველობა მოზრდილთა შორის. იქ საქართველოს ღირსებას დაიცავენ: თამაზ ყულოშვილი, გივი სისაური ან დავით პოლოსიანი (62 კგ), დავით ხურცია (82), ელდარ კურტანიძე (90), მძიმე წონაში კი — ახლახან სანკტ-პეტერბურგში დამთავრებული კეთილი ნების თამაშების გამარჯვებული ზაზა თურმანიძე.

ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების თვალსაზრისით ანგარიში 2-0 საკმაო მარაგია საიმისოდ, რომ საპასუხო შეხვედრაში მეტოქის მინდორზე საერთო წარმატებას მიაღწიო. ეს ამბავი ხანგრძლივი პრაქტიკით გახლავთ შემოწმებული და დადასტურებული. გუნდი, რომელიც ევროპული თასის გათამაშებაში შინ ანგარიშით 2-0 იგებს თამაშს, კმაყოფილია ამ შედეგით და საპასუხო შეხვედრასაც პერსპექტიული თვალით უცქერის.

კმაყოფილნი ვართ ჩვენც, თბილისის „დინამოს" ქომაგნი, რომ რუმინეთის ქალაქ კრაიოვას „უნივერსიტატიას" გუნდთან შეხვედრაში ეს ნორმა — ორი უპასუხო ბურთი გავიტანეთ მეტოქის კარში, მაგრამ იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ ანგარიში იმ დღეს შეუდარებლად, გაცილებით უკეთესი იქნებოდა ჩვენს ფეხბურთელებს რომ მეტი სიზუსტე გამოეჩინათ კარში გადამწყვეტი დარტყმებისას და შესაბამისად გამოეყენებინათ მეტოქის გუნდის კართან შექმნილი ფრიად ხელსაყრელი მომენტები.

23 აგვისტოს კრაიოვაში საპასუხო მატჩია. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ დინამოელები არ დათმობენ ადრინდელ მონაპოვარს, კვლავაც ენერგიულად, აქტიურად ითამაშებენ, სასურველ შედეგს მიაღწევენ და 1994-95 წლების უეფას თასის გათამაშებაში შემდგომ ეტაპზე ბრძოლის გაგრძელების უფლებას მოიპოვებენ.

● ● ●



სურათზე: თბილისი, 9 აგვისტო. „დინამო". (თბილისი) — „უნივერსიტატეა" (რუმინეთი) 2:0.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

**საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში**

კვირას, 14 აგვისტოს დაიწყო საქართველოს VI საფეხბურთო ჩემპიონატი. პირველი ტურის შეხვედრებში მასპინძლებმა რვავე მატჩი მოიგეს:

„დინამო" (თბილისი) — „დურუჯი" (ყვარელი) 10-1
„სამტრედია" (სამტრედია) — „საპოვნელა" (თერჯოლა) 5-0
„ტორპედო (ქუთაისი) — „სამგურალი" (წყალტუბო)2-1
„კოლხეთი-1913" (ფოთი) — „კახეთი" (თელავი) 4-0
„გურია" (ლანჩხუთი) — „ივერია" (ხაშური) 3-1
„მარგვეთი" (ზესტაფონი) — „დილა" (გორი) 1-0
„დინამო" (ბათუმი) — „დინამო" (ზუგდიდი) 3-0

15 აგვისტო „შევარდენი-1906" (თბილისი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 1-0

**ნოდარ ახალკაცი უეფა-ში**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი არჩეულია უეფა-ს ტექნიკური განვითარების კომიტეტში 2 წლის ვადით.

რედაქციის შენიშვნა: ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით ეროვნული ჩემპიონატის გახსნას ყველგან საზეიმო ელფერი როდი დაჰკრავდა. შორს წასვლა რად გვინდა, როცა თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე საქართველოს ჰიმნის დაკვრაც კი დაავიწყდათ (?!). ვითომ წვრილმანია?

# ყველაფერი, ან თითქმის ყველაფერი მსოფლიოს ჩემპიონატზე

კალათბურთელ ვაჟთა მსოფლიოს XI ჩემპიონატში, რომელიც კანადაში გაიმართა (ტორონტო, ჰამილტონი), ოთხ ჯგუფად დაყოფილი 16 გუნდი მონაწილეობდა: პირველი ეტაპის — წინასწარი ტურნირების შემდეგ ჯგუფებში იმარჯვეს:

A ჯგუფში: აშშ-მ დაამარცხა ესპანეთი 115:100, ჩინეთი 132:77, ბრაზილია — 105:82.

B ჯგუფში: ხორვატიამ — კუბა 85:65, კორეა 104:53, ავსტრალია 83:59

C ჯგუფში: რუსეთმა — არგენტინა 84:64, ანგოლა 94:57, კანადა 73:66.

D ჯგუფში: საბერძნეთმა სძლია გერმანიას 68:58, ეგვიპტეს 69:53. დამარცხდა პუერტო-რიკოსთან 64:72.

გათამაშების მეორე ეტაპზე შეიქმნა ორი მეოთხედფინალური ჯგუფი.

პირველ ჯგუფში ორი პირველი ადგილი აშშ-მ და რუსეთმა დაიკავეს. აშშ-მ დაამარცხა: ავსტრალია 130:74, პუერტო-რიკო 134:83 და რუსეთი 111:94; რუსეთმა მოუგო პუერტო-რიკოს 101:85 და ავსტრალიას 103:76 (აშშ-სთან დამარცხდა).

მეორე ჯგუფში თავი გამოიჩინეს ხორვატიამ და საბერძნეთმა. ხორვატიამ დაამარცხა: ჩინეთი 105:73, კანადა 93:61, საბერძნეთი 81:55; საბერძნეთმა მოუგო კანადას 86:71, ჩინეთს 77:61 (ხორვატიასთან, როგორც აღვნიშნეთ, დამარცხდა).

ნახევარფინალები: აშშ — საბერძნეთი 97:58, რუსეთი — ხორვატია 66:64.

ფინალი. აშშ — რუსეთი 137-91. საუკეთესო სნაიპერები. აშშ-ში: დომინიკ უილკინსი — 20 ქულა, შაკილ ო' ნილი — 18; რუსეთში — მიხეილ მიხაილოვი — 19, სერგეი ბაზარევიჩი — 17.

III-IV ადგილები. ხორვატია — საბერძნეთი 78:60.

V-VI ადგილები. ავსტრალია — პუერტო რიკო 96:83

VII-VIII ადგილები. კანადა — ჩინეთი 104:76.

რამდენიმე სიტყვა მსოფლიოს ახალ ჩემპიონზე. ბარსელონის ოლიმპიური თამაშების შემდეგ ამერიკელებმა მეორედ შეადგინეს ე.წ. „ოცნების გუნდი" — საუკეთესო პროფესიონალებისაგან დაკომპლექტებული ნაკრები, ოღონდ იმ პირობით, რომ მასში არ უნდა ეთამაშა წინა ოლიმპიადაში გამარჯვებულებს. ამ გუნდში თავისი დელეგატები

(დასასრული იხ. მე-2 გვერდზე.)



ექო

# ტედ ტერნერის ზარალი — 39 მილიონი დოლარი

კეთილი ნების თამაშები სანკტ-პეტერბურგში მაღალი სპორტული მაჩვენებლებით აღინიშნა, აქ დაამყარეს 12 მსოფლიოსა და ევროპის რეკორდი, მაგრამ ტელეკომპანია „ტერნერ ბროსტანგიტ სისტემამ" ამ თამაშებზე მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა, რაც 39 მილიონ დოლარს შეადგენს. აღნიშნული თამაშების ორგანიზატორის ტედ ტერნერის საერთო ზარალმა განვლილ სამ თამაშებზე 109 მილიონ დოლარს მიაღწია.

მიუხედავად ამისა, ეს კაცი არათუ უარს ამბობს ამ საერთაშორისო შეჯიბრებების მოწყობაზე, არამედ განზრახული აქვს ზამთრის სახეობებიც შეიტანოს პროგრამაში. ამ მიზნით ტ. ტერნერი ამჟამად დაკავებულია ზამთრის სახეობათა შესწავლით და იმედი აქვს, რომ ჩართავს მათ თავის პროგრამაში.

ფეხბურთი

# აზიელთა პრეტენზიები

ცნობილია, რომ 1998 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატზე, რომელიც საფრანგეთში მოეწყობა, ფინალში მონაწილეობას მიიღებს 32 გუნდი. ამასთან დაკავშირებით აზიის საფეხბურთო კონფედერაციას გადაწყვეტილი აქვს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას მოთხოვოს ოთხი ადგილი ამ 32-ს შორის. როგორც ამ ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა პიტერ ვილაპანმა განაცხადა, ქალაქ კუალალუმპურში, სამართლიანი იქნება ისიც თუ აზიის მეხუთე ნაკრები ამ უფლებისათვის ითამაშებს ოკეანიის ზონის საუკეთესო გუნდთან.

საერთოდ, მას შემდეგ, რაც ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტთა კვოტა გაზარდა, აზიელებს მიაჩნიათ, რომ მათ მეტი გასაქანი უნდა მიეცეთ, ვინაიდან განვლილ მსოფლიო ჩემპიონატზე ამერიკაში წარმატებით ითამაშეს საუდის არაბეთისა და სამხრეთ კორეის გუნდებმა, აზიელთა კიდევ ერთი არგუმენტია ის, რომ ბოლო წლებში მათი კონფედერაცია გაიზარდა ყოფილი სსრ კავშირის რესპუბლიკების ხარჯზე, ხოლო უზბეკეთისა და ყაზახეთის ფეხბურთელთა კლასი საკმაოდ მაღალია.

**ალპინისტთა ტრაგედია პაკისტანში**

დადასტურდა ის ფაქტი, რომ სამი უკრაინელი ალპინისტი, რომლებიც ივლისში მონაწილეობდნენ კ-2 მწვერვალზე ასვლაში (ჩრდილოეთ პაკისტანის მთები) დაიღუპა. ეს მწვერვალი სიმაღლით მეორეა ჩვენს პლანეტაზე.

როგორც ისლამაბადში განაცხადა მწვერვალიდან დაბრუნებული საერთაშორისო ექსპედიციის ხელმძღვანელმა რალფ დუჯმოვიჩმა, წლევანდელი ზაფხულის სეზონში კ-2 მწვერვალმა 2 მთამსვლელი შეიწირა. უკრაინელთა გარდა ინტერნაციონალურ ჯგუფში ჩეხი და სხვა ქვეყნების ალპინისტებიც შედიოდნენ.

აღსანიშნავია, რომ მწვერვალი კ-2 წლეულს 13 მთამსვლელმა დაიპყრო, მათ შორისაა ახალზელანდიელი რობ ხაუ, რომელმაც რეკორდი დაამყარა: ერთ სეზონში დაიპყრო ყველა 8-ათასიანი მწვერვალი, მათ შორის ევერესტიც (8.848 მ.) და ლხოცზეც.

## რა ხდება ქვეყანაზე

● ჩოგბურთში დევისის თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური მატჩი (გერმანია — რუსეთი) გაიმართება 23-25 სექტემბერს ჰამბურგში. გერმანელებმა მეოთხედფინალში, როგორც ცნობილია, აჯობეს ესპანელებს, რუსებმა — ჩეხებს. მეორე ნახევარფინალური ბრძოლის (აშშ — შვეცია) თარიღი ჯერ უცნობია.

● ჰოკეის ეროვნულ ლიგასა (ნჰლ) და ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციას (იიჰფ) შორის მიღწეული შეთანხმების თანახმად ნაგანოს ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში (1998 წელი) პროფესიულ ჰოკეის ყველა „ვარსკვლავი" ითამაშებს. გარდა ამისა, ნჰლ-ს კომისარმა ჰარი ბეტმენმა და იიჰფ-ს პრეზიდენტმა რენე ფაზელმა ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის სამწლიან კონტრაქტს, რომელიც ერთ-ერთ პუნქტად ევროპაში სუპერლიგის შექმნას ითვალისწინებს.

● მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო პროფესიონალი ველოსიპედისტი ედი მერქსი ბელგიის ნაკრებს ამზადებს მსოფლიოს ჩემპიონატისათვის, რომელიც აგვისტოს მიწურულს უნდა ჩატარდეს აგრეჟენტეში (იტალია). გუნდის კანდიდატთა შორის არ არიან ქვეყნის წამყვანი ველოსიპედისტები: იოჰან ბრიუინეელი და ვილფრიდ ნელისენი.

● მძლეოსნობაში მსოფლიოს ექსჩემპიონის კატრინ კრაბეს (გერმანია) მწვრთნელი თომას სპრინგცტაინი ფიქრობს, რომ მისი მოწაფის სპორტული კარიერა უკვე დამთავრდა. დისკვალიფიკაციის ვადა, რომელიც კრაბემ დოპინგის ხმარებისათვის მიიღო, 1995 წლის ბოლოს მთავრდება. ამ დროისათვის კი ექსჩემპიონს, ალბათ გაუჭირდება სარბენ ბილიკზე წარმატებით გამოსვლა.

● ამ საუკუნის ბოლო პანამერიკულ თამაშებს (1999 წელს) კანადის ქალაქი ვინიპეგი უმასპინძლებს. პროგრამაში იქნება სპორტის 40 სახეობა. 1995 წლის თამაშები კი, როგორც ცნობილია, არგენტინის ქალაქ მარ-დელ-პლატაში მოეწყობა.

● „ფორმულა-1"-ში გერმანიის დიდი პრიზის გათამაშების წინ ინგლისელ ავტომობილისტს დეიმონდ ჰილს ტელეფონით დაემუქრნენ: თუ შუმახერს მოუგებ, უმოწყალოდ გაგისწორდებითო. 33 წლის ჰილის ნომერს სასტუმროში, მთელ კვირას დარაჯობდნენ პოლიციელები, მაგრამ საბედნიეროდ, არავითარი ინციდენტი არ მომხდარა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ რბოლაში ჰილმა მხოლოდ მერვე ადგილი დაიკავა.

● მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მოცურავე, 27 წლის უნგრელი ტამაშ დარნი ჯერ არ აპირებს სპორტიდან წასვლას. იგი იასპარეზებს მსოფლიოს თასის ეტაპებსა და უნგრეთში გამართულ ყველა შეჯიბრებაში.

რა ხდება ქვეყანაზე

# კასპაროვის „არყოფნაში" კარპოვი კვლავ პირველია

ფიდეს ახალ რეიტინგ-ლისტში, რომელიც 1 იანვრამდე მოქმედებს, კვლავ არ შეიყვანეს მსოფლიო ჩემპიონი (საერთაშორისო საჭადრაკო ასოციაციის ვერსიით) გარი კასპაროვი და მისი ყოფილი მეტოქე ნაიჯელ შორტი.

ისევე, როგორც იანვარში, პირველ ადგილზე ახლაც მსოფლიო ჩემპიონი (ფიდეს ვერსიით) ანატოლი კარპოვია (რუსეთი). წელიწადის პირველ ნახევარში მან 24 პარტია ითამაშა, რეიტინგი 20 ერთეულით გაიუმჯობესა და ამჟამად 2780 პუნქტი აქვს.

საინტერესოა, რომ ლატვიის წარმომადგენელი ალექსეი შიროვი პრეტენდენტთა ვერც ერთ ასპარეზობაში ვერ მოხვდა, სამაგიეროდ, იგი განუწყვეტლივ მოგზაურობს ერთი ქვეყნიდან მეორეში, მონაწილეობს პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირებში და ქულებს აგროვებს. შიროვმა 6 თვეში 36 პარტია ითამაშა, მეხუთედან მეორე ადგილზე გადაინაცვლა. მას 2740 პუნქტი აქვს.

ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) იანვრისთვის III-IV ადგილებს იყოფდა. იქიდან მოყოლებული იგი თითქმის განუწყვეტლივ თამაშობდა (43 პარტია), თავისი მონაცემები 15 პუნქტით გააუმჯობესა და 2725 პუნქტით მესამე ადგილზეა.

უწინ მეორე ადგილზე მყოფმა ვიშვანათჰან ანანდმა (ინდოეთი) 20 პარტია ითამაშა, რეიტინგი სულ 5 პუნქტით გაიუმჯობესა (2720), თუმცა, მისთვის მთავარი რეიტინგი კი არ არის, არამედ მსოფლიო ჩემპიონობისათვის ბრძოლა.

წელიწადის პირველი ნახევარი მეტად ნაყოფიერი გამოდგა ვალერი სალოვისთვის (რუსეთი). მან 21 პარტია ითამაშა, რეიტინგი 40 პუნქტით გაიუმჯობესა და 2710 პუნქტით სიაში მეხუთე ადგილი დაიმკვიდრა.

VI-VII ადგილებს იყოფენ ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) და გატა კამსკი (აშშ) — 2695. უკრაინელმა, რომელიც იანვრისთვის მესამე-მეოთხე ადგილებზე იყო კრამნიკთან, მას შემდეგ სულ 14 პარტია ითამაშა და 15 პუნქტი დაიკლო. კამსკი პირიქით, ბევრს თამაშობდა (39 პარტია), მას საბოლოო ანგარიშით იმდენივე პუნქტი დარჩა, რამდენიც ჰქონდა. აქ ერთი გარემოება უნდა აღინიშნოს — მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მატჩი კი მოიგო კრამნიკთან, მაგრამ ესპანეთში გამართულ საერთაშორისო ტურნირში ხელი მოეცარა.

ბორის გელფანდმა (ბელარუსი), რომელიც ბევრს არასოდეს თამაშობდა და ძირითად დროს თეორიულ მომზადებას ანდომებდა, სულ 20 შეხვედრა გამართა. იანვართან შედარებით 5 პუნქტით უკან დაიხია, 2680 პუნქტით მერვე ადგილზეა.

ახალგაზრდა ინგლისელი დიდოსტატი მაიკლ ადამსი, რომელიც საერთაშორისო საჭადრაკო ასოციაციის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტია, ნახევარფინალში გავიდა, ახლა 2640 პუნქტით (ადრე 2660 ჰქონდა) მეცხრეა. მან სულ 14 პარტია ითამაშა. ასევე ცოტას თამაშობდა (სულ 10 პარტია) ჰოლანდიელი იან ტიმანი და ახლა 2635 პუნქტი აქვს.

• • •

ქალთა შორის პირველია 18 წლის იუდით პოლგარი (უნგრეთი). იანვრიდან მოყოლებული 24 პარტია ითამაშა და ყველა — ვაჟებთან. მონაწილეობს პირველხარისხოვან საერთაშორისო ტურნირებში, სადაც ჩინებულ შედეგებს აღწევს. პერსონალურად მიიწვიეს მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირში ქალთა შორის, რომელიც 9 სექტემბერს ტილბურგში (ჰოლანდია) იწყება, მაგრამ აქ მონაწილეობაზე ამჯერად უარი განაცხადა. საინტერესოა, რომ წელს იუდით პოლგარის რეიტინგი არ შეცვლილა. ჰქონდა 2630 (არნახულად მაღალი მაჩვენებელი ქალთა შორის), დარჩა ზუსტად ამდენივე.

ისევე როგორც ადრე, ახლაც მეორეა იუდითის უფროსი და ჟუჟა პოლგარი. მას წელს არ უთამაშია არც ერთი პარტია (მონტე-კარლოს ტურნირი „ქალბატონები სენიორების წინააღმდეგ" არ ითვლება). ჟ. პოლგარს კვლავ 2550 პუნქტი აქვს.

მესამე ადგილზეა პია კრამლინგი (შვეცია). მან ამ მონაკვეთში 25 პარტია ითამაშა და 2525 პუნქტი დააგროვა, ეჭვგარეშეა, პრეტენდენტთა მომავალ ასპარეზობაში შვედ მოჭადრაკეს სერიოზული პრეტენზიები არ ექნება.

აღმავალი გზით მიდის მსოფლიოს ახლანდელი ჩემპიონი ხიე ჭუნი (ჩინეთი). მისი სატურნირო გამოსვლების შესახებ თითქმის არაფერი ვიცოდით, ამასობაში კი ჩემპიონს წლის პირველ ნახევარში არც მეტი, არც ნაკლები, 46 პარტია უთამაშია, მისმა რეიტინგმა 2515-ს მიაღწია, რაც მეოთხე მაჩვენებელია.

მეხუთეა მსოფლიოს ექსჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე (საქართველო). იანვრიდან მოყოლებული მან 26 პარტია ითამაშა და ახლა 2505 პუნქტი აქვს.

ჩინელმა პრეტენდენტმა პენგმა (33 პარტია) 2480 ქულა მოაგროვა და მეექვსე ადგილზე გადაინაცვლა. ასევე აღმავლობით თამაშობს ალისა გალიამოვა-ივანჩუკიც (უკრაინა), რომელსაც დიდი დამხმარე ჰყავს მეუღლის, ცნობილ დიდოსტატ ვასილ ივანჩუკის სახით. ახლა გალიამოვას 2475 პუნქტი აქვს.

მერვე-მეცხრე ადგილებს იყოფენ სოფია პოლგარი (უნგრეთი) და ქეთევან არახამია (საქართველო), თითოეულ მათგანს 2450 ქულა აქვს. მეათეა ნანა იოსელიანი (საქართველო) — 2435.

დაბოლოს, გულშემატკივრებს უდავოდ დააინტერესებთ ქართველ დიდოსტატ ქეთევან კახიანის მაჩვენებლები, რომელიც ახლა გერმანიაში ცხოვრობს და ამ ქვეყნის №1 მოჭადრაკედ ითვლება. ქეთევანმა წელიწადის პირველ ნახევარში 37 პარტია ითამაშა და მისი რეიტინგი ახლა 2410-ს უდრის. ქ. კახიანი მსოფლიო ჩემპიონატის გათამაშების მომავალ, 1995-97 წლების ციკლში აქტიურად ჩაბმას აპირებს და სერიოზულადაც ემზადება.

ბიძი გამრეკელი

# მაინც უილტონ ჩემბერლენი

პროფესიული კალათბურთის ერთ-ერთი ყველაზე უნიკალური რეკორდი ეკუთვნის ნბა-ში ყველა დროის უძლიერეს ცენტრალურ თავდამსხმელად აღიარებულ უილტონ ჩემბერლენს. იგი მაშინ, 1962 წლის 2 მარტს „ფილადელფიის" ღირსებას იცავდა. რეგულარული ჩემპიონატის ერთ-ერთ კალენდარულ მატჩში („ნიუ-იორკთან") ჩემბერლენმა თავის კლუბს 100 ქულა შესძინა. ამ რეკორდს მაშინვე „განუმეორებელი" უწოდეს, რაც ჯერჯერობით მართლდება კიდეც. ყოველ შემთხვევაში, აგერ უკვე 32 წელია, ჩემბერლენის მიღწევას ახლოც არ გაკარებია არავინ.

ნბა-ს არქივები რომ გადაქექოთ, აღმოაჩენთ, რომ ამ რეკორდთან მეტნაკლებად ახლოს დგას „დენვერის" მოთამაშე დევიდ ტომპსონი, რომელმაც 1978 წლის 9 აპრილს „დეტროიტთან" შეხვედრაში თავის გუნდს 73 ქულა შესძინა. მაგრამ, სად 73 და სად 100. სხვაობა, როგორც ხედავთ, მთელი 27 ქულაა.

სხვათა შორის, ნბა-ს სნაიპერებში ყველაზე სტაბილურად მაღალ შედეგებს ისევ და ისევ ჩემბერლენი აჩვენებდა. აი მისი ზოგიერთი მიღწევა:

1961 წ. — 78
1962 წ. — 73
1962 წ. — 72
1963 წ. — 70

ჩემბერლენამდე რეკორდის ავტორი გახლდათ „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის" მოთამაშე ელჯინ ბაილორი, რომელმაც 1960 წლის 15 ნოემბერს „ნიუ-იორკთან" შეხვედრაში თავისიანებს 71 ქულა მოუტანა. ეს რაც შეეხება ძველებს.

ახლებიდან კი, როგორც სავარაუდო იყო, დიდხანს საუკეთესო შედეგი ჰქონდა მაიკლ ჯორდანს. 1990 წლის 28 მარტს „ჩიკაგო" — „კლივლენდის" შეხვედრაში ჯორდანმა 69 ქულა დააგროვა. და, აი სულ ბოლო მიღწევა: ნბა-ს წლევანდელი რეგულარული ჩემპიონატის მატჩში „სან-ანტონიოს" ცენტრალურმა თავდამსხმელმა დევიდ რობინსონმა თავის კლუბს 71 ქულა შესძინა, რაც პროფესიული კალათბურთის ისტორიაში მეხუთე შედეგია.

## მხოლოდ ტექნიკური შედეგები

● მილანი. მსოფლიოს ჩემპიონატი მრგვალ სტენდზე სროლაში. 1. ბრუნო როსეტი (იტალია) — 148 ქულა. იტალიის გუნდმა დაამყარა მსოფლიოს ახალი რეკორდი — 366 ქულა.

● მილანი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტყვიის სროლაში. ნებისმიერი შაშხანა. სამი მდგომარეობა. 300 მ. (120 გასროლა). 1. გლენ დუბისი (აშშ) — 1175 ქულა. ეს შედეგი მსოფლიოს ახალი რეკორდია.

კალათბურთი

# ყველაფერი, ან თითქმის ყველაფერი მსოფლიოს ჩემპიონატზე

დასასრული

გააგზავნა ნბა-ს 10 კლუბმა — „დეტროიტმა", „სიეტლმა", „ინდიანამ", „ორლანდომ", „კლივლენდმა", „მაიამიმ", „ფინიქსმა", „შარლოტმა", „ნიუ-ჯერსიმ", და „ლოს-ანჯელეს კლიპერსმა". ამათგან ორორი წარმომადგენელი ჰყავდათ მხოლოდ „ფინიქსსა" და „შარლოტს".

გთავაზობთ მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატზე „ოცნების გუნდი №2-ის" შემადგენლობას:

**ჯო დუმარსი.** მცველი. სიმაღლე 190 სმ. „დეტროიტ პისტონსი". ნბა-ს ორგზის ჩემპიონი.

**შონ კემპი.** თავდამსხმელი. 208 სმ. „სიეტლ სუპერსონიკსი".

**რეჯი მილერი.** მცველი. 201 სმ. „ინდიანა პეისერსი" 1984 წ. ლოს-ანჯელესის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი.

**შაკილ ო'ნილი.** ცენტრალური თავდამსხმელი. 216 სმ. „ორლანდო მეჯიკი". 1992-93 ნბა-ს საუკეთესო ახალბედა იყო.

**მარკ პრაისი.** მცველი. 183 სმ. „კლივლენდ კავალიერსი". 1992-93 წ.წ. ნბა-ს საუკეთესო ხუთეულში იყო.

**სტივ სმითი.** მცველი. 203 სმ. „მაიამი ჰიტი".

**კევინ ჯონსონი.** მცველი. 186 სმ. „ფინიკს სანსი".

**ალონზო მოურნინგი.** ცენტრალური თავდამსხმელი. 208 სმ. „შარლოტ ჰორნეტსი".

**დერიკ კოულმენი.** თავდამსხმელი. 208 სმ. „ნიუ-ჯერსი ნეტსი".

**დენ მარლი.** მცველი. 198 სმ. „ფინიკს სანსი". 1988 წ. სეულის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი.

**დომინიკ უილკინსი.** თავდამსხმელი. 203 სმ. „ლოს-ანჯელეს კლიპერსი". 1985-86 წ.წ. ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი. ორჯერ აქვს მოგებული „ჩემპიონატი" ბურთების კალათში ზემოდან ჩაგდებაში.

**ლერი ჯონსონი.** თავდამსხმელი. 201 სმ. „შარლოტ ჰორნეტსი". 1991-92 წ.წ. ნბა-ს საუკეთესო ახალბედა.

ნბა-ს ეს თორმეტი „ვარსკვლავი" მსოფლიოს ჩემპიონატისათვის შეარჩია და გარკვეულწილად მოამზადა აშშ-ში საკმაოდ პოპულარულმა მწვრთნელმა დონალდ არვიდ ნელსონმა, რომელსაც, როგორც ჟურნალისტები აღნიშნავენ, უამრავ ღირსებასთან ერთად აქვს ერთი „დიდი ნაკლი" — არასდროს ყოფილა ნბა-ს ჩემპიონის მწვრთნელი და მაინც, ალბათ ღირს მისი დოსიეს გაცნობა.

დაიბადა 15.5. 1940 წელს მასკეგონში (მიჩიგანი). ნბა-ში ითამაშა 14 სეზონი, აქედან 11 „ბოსტონ სელტიკსში" გაატარა. როგორც პროფესიული კალათბურთის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბის წევრი თვითონ ხუთჯერ იყო ნბა-ს ჩემპიონი. 1976 წელს დაამთავრა მოთამაშის კარიერა. იმავე წელს ერთი სეზონის მანძილზე „მილუოკი ბაქსის" მწვრთნელის თანაშემწედ იმუშავა. მერე ჩაიბარა გუნდი და 11 სეზონი უფროს მწვრთნელად გაატარა. ნელსონის ხელმძღვანელობით „მილუოკი" შვიდჯერ იყო პირველი „სენტრალის" დივიზიონში, სამჯერ მონაწილეობდა პლეი-ოფის ნახევარფინალში. 1967 წელს დაინიშნა „გოლდენ სტეიტ უორიორზის" ვიცე-პრეზიდენტად, ერთი წლის შემდეგ კი გახდა ამ გუნდის მთავარი მწვრთნელი და გენერალური მენეჯერი. ეს პოსტი უკავია დღემდე. მწვრთნელად მუშაობის 18 წლის მანძილზე აქვს ასეთი მაჩვენებლები: მოგებული მატჩი — 803, მარცხი — 573. პროცენტული შეფარდება 58,4. ორჯერ იყო აღიარებული ნბა-ს საუკეთესო მწვრთნელად.

და კიდევ ერთი ნეიტრალური ინფორმაცია კალათბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატებზე. უფრო სწორად ამ ჩემპიონატების ჩატარების ადგილებზე და პრიზიორებზე.

**I ჩემპიონატი.** 1954 წელი. ბრაზილია. 1, აშშ, 2. ბრაზილია, 3. არგენტინა.

**II ჩემპიონატი.** 1958 წელი. ჩილე. 1. ბრაზილია, 2. აშშ, 3. ჩილე.

**III ჩემპიონატი.** 1963 წელი. ბრაზილია. 1. ბრაზილია, 2. იუგოსლავია, 3. აშშ.

**IV ჩემპიონატი.** 1967 წელი. ურუგვაი. 1. სსრ კავშირი, 2. იუგოსლავია, 3. ბრაზილია.

**V ჩემპიონატი.** 1970 წელი. იუგოსლავია, 1. იუგოსლავია, 2. ბრაზილია, 3. სსრ კავშირი.

**VI ჩემპიონატი.** 1974 წელი. პუერტორიკო. 1. სსრ კავშირი. 2. იუგოსლავია, 3. აშშ.

**VII ჩემპიონატი.** 1978 წელი. ფილიპინები. 1. იუგოსლავია, 2. სსრ კავშირი, 3. ბრაზილია.

**VIII ჩემპიონატი.** 1982 წელი. კოლუმბია. 1. სსრ კავშირი, 2. აშშ, 3. იუგოსლავია.

**IX ჩემპიონატი.** 1986 წელი. ესპანეთი. 1. აშშ, 2. სსრ კავშირი, 3. იუგოსლავია.

**X ჩემპიონატი.** 1990 წელი. არგენტინა. 1. იუგოსლავია, 2. სსრ კავშირი, 3 აშშ.

**XI ჩემპიონატი.** 1994 წელი. კანადა. 1. აშშ, 2. რუსეთი, 3. ხორვატია.

ეს მონაცემები უფრო თვალნათლივ არის წარმოჩენილი ცხრილში.

| | | | |
|---|---|---|---|
| იუგოსლავია | 3 | 3 | 2 |
| აშშ | 3 | 2 | 3 |
| სსრ კავშირი | 3 | 3 | 1 |
| ბრაზილია | 2 | 2 | 2 |
| რუსეთი | — | 1 | — |
| არგენტინა | — | — | 1 |
| ჩილე | — | — | 1 |
| ხორვატია | — | — | 1 |

ერთი ინფორმაცია შედარებისთვის. როგორც ცნობილია, აშშ-მ პროფესიონალები ოლიმპიურ თამაშებში პირველად გამოიყვანა 1992 წელს (ბარსელონა; XXV ოლიმპიადა) და ამ ნაკრებს „ოცნების გუნდი" ეწოდა. წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატში „ოცნების გუნდს" უკვე მეორე რიგითი ნომერი ჰქონდა. მეტი სიცხადისათვის მკითხველს გვინდა შევთავაზოთ 1992 წლის „საოცრება გუნდის" (მას ასეც უწოდებდნენ) შემადგენლობა: კრის ლეიტნერი, დევიდ რობინსონი, პატრიკ იუინგი, ლარი ბიორდი, სკოტ პიპენი, მაიკლ ჯორდანი, კლაიდ დრექსლერი, კარლ მელოუნი, ჯონ სტოქტონი, კარლ მულინი, ჩარლზ ბარკლი, ირვინ „მეჯიკ" ჯონსონი.

## რა ხდება ქვეყანაზე

● სპორტში დაბრუნება გადაწყვიტა 33 წლის მსოფლიოს ექსრეკორდსმენმა შუბის ტყორცნაში, ინგლისელმა ფატიმა უითბრედმა. მსოფლიოს 1987 წლის ჩემპიონმა ერთ-ერთ შეჯიბრებაზე უხერხული ტრავმა მიიღო მხრის არეში და მთელი ოთხი წლის განმავლობაში არ გამოსულა საასპარეზოდ. უითბრედი 1984 წლის ოლიმპიადაზე მესამე იყო, ოთხი წლის შემდეგ სეულში კი — მეორე.

● ყველაზე ტიტულოვანი გერმანელი მოცურავე, 16 წლის ფრანცისკა ვან ალმზიკი რომის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ (გაიმართება წლეულს სექტემბერში) აშშ-ში იცხოვრებს. მან უკვე იყიდა ბინა ფლორიდაში, სადაც ისწავლის კიდეც.

● „ედმონტონ ოილერზის" (კანადა) ჰოკეისტთა გუნდს ახალი მწვრთნელი ჰყავს — 32 წლის გეორგ ბარნეტი. იგი დანიშნა (პირადად) კლუბის პრეზიდენტმა და გენერალურმა მენეჯერმა გლენ სატერმა. საინტერესოა, რომ ბარნეტს ადრე ნჰლ-ში არ უმუშავია. ამიტომაც მთელი პასუხისმგებლობა თავის თავზე კლუბის პრეზიდენტმა აიღო.

● მოსკოვის ოლიმპიადის სამგზის ჩემპიონი, გერმანელი მოცურავე რიტა რაინიში სასამართლოში აძლევს თავის ყოფილ მწვრთნელსა და ექიმს, რომლებიც მალულად აძლევდნენ მას დოპინგს. მოსკოვის ოლიმპიადის დროს რაინიში 15 წლისა იყო. სულ მალე მას სერიოზულად შერყა ჯანმრთელობა და სპორტს ჩამოსცილდა.

● ცნობილმა სამხრეთამერიკელმა ბიზნესმენმა კარლო განსიამ გადაწყვიტა, რომ 1995 წლის „ფორმულა-1"-ში წმინდა ბრაზილიური გუნდი გამოიყვანოს. მისი პროექტის სავარაუდო ღირებულება 16 მილიონი დოლარია. პილოტებად განსიამ შეარჩია 24 წლის პედრო პაულო დიზინა და 31 წლის მაურისიო გუჯელმინი.

რა ხდება ქვეყანაზე

## UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

### გაიმართა ევროპის საკლუბო ტურნირების შესარჩევი წრის შეხვედრები ფეხბურთში

**ჩემპიონთა თასი**

„სტიაუა“ (ბუქარესტი, რუმინეთი) — „სერვეტი“ (შვეიცარია) 4-1
„სპარტა“ (პრაღა, ჩეხეთი) — „გიოტებორგი“ (შვეცია) 1-0
„ავენირი“ (ლუქსემბურგი) — „გალათასარაი“ (თურქეთი) 1-5
„პარი სენ-ჟერმენი“ (საფრანგეთი) — „ვაც სამსუნგი“ (უნგრეთი) 3-0
„მაკაბი“ (ხაიფა, ისრაელი) — „კაზინო“ (ზალცბურგი, ავსტრია) 1-2
აეკ (ათენი, საბერძნეთი) — „გლაზგო რეინჯერსი“ (შოტლანდია) 2-0
„ლეგია“ (პოლონეთი) — „ჰაიდუკი“ (სპლიტი, ხორვატია) 0-1
„სილკებორგი“ (დანია) — „დინამო“ (კიევი, უკრაინა) 0-0
საპასუხო მატჩები გაიმართება 24 აგვისტოს

**თასების მფლობელთა თასი**

„ნორმა“ (ტალინი, ესტონეთი) — „ბრანიკი“ (მარიბორი, სლოვენია) 1-4
„პირინი“ (ბულგარეთი) — „შაანი“ (ლიხტენშტეინი) 3-0
„ფანდოკი“ (ბობრუისკი, ბელარუსი) — „ტირანა“ (ალბანეთი) 4-1
„ტილიგული“ (ტირასპოლი, მოლდოვა) — „ომონია“ (ნიქოზია, კვიპროსი) 0-1
„ფერენცვაროში“ (უნგრეთი) — „ფ-91 დუდელანჟი“ (ლუქსემბურგი) 6-1
„ფლორიანა“ (მალტა) — „სლიგო როვერსი“ (ირლანდია) 2-2
„ბერი თაუნი“ (უელსი) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი, ლიტვა) 0-1
„ბოდო გლიმტი“ (ნორვეგია) — „ოლიმპია“ (რიგა, ლატვია) 6-0
„ვიქტორია“ (ჟიჟკოვი, ჩეხეთი) — „ნორჩეპინგი“ (შვეცია) 1-0
„ბ-71 სანდური“ (ფარერის კ-ბი) — ჰიკ (ჰელსინკი, ფინეთი) 0-5
იბკ (კეფლავიკი, ისლანდია) — „მაკაბი“ (თელ-ავივი, ისრაელი) 1-2
„ბანგორი“ (ჩრ. ირლანდია) — „ტატრანი“ (პრეშოვი, სლოვაკეთი) 0-1
საპასუხო მატჩები გაიმართება 25 აგვისტოს.

**უეფას თასი**

„დინამო“ (თბილისი, საქართველო) — „უნივერსიტატია“ (კრაიოვა, რუმინეთი) 2-0
„სლავია“ (პრაღა, ჩეხეთი) — „კროკ სიტი“ (ირლანდია) 2-0
„მოზერუელი“ (შოტლანდია) — „ჰაფნარი“ (ფარერის კ-ბი)3-0
„კოპენჰაგენი“ (დანია) — „იაცი“ (ფინეთი) 0-1
„პორტადაუნი“ (ჩრ. ირლანდია) — „სლოვანი“ (ბრატისლავა, სლოვაკეთი) 0-2
„ბანგორ სიტი“ (უელსი) — „აკრანესი“ (ისლანდია) 1-2
„ინტერი“ (ბრატისლავა, სლოვაკეთი) — „მიუპა-47“ (ფინეთი) 0-3
„ოდენსე“ (დანია) — „ფლორა“ (ტალინი, ესტონეთი) 3-0
„ლილესტრიომი“ (ნორვეგია) — „შახტიორი“ (დონეცკი, უკრაინა) 4-1
„გოტუ“ (ფარერის კ-ბი) — „ტრელსბორგსი“ (შვეცია) 0-1
„გურნიკი“ (ზაბჟე, პოლონეთი) — „შემროკ როვერსი“ (ირლანდია) 7-0
„რომარი“ (მაჟეიკიაი, ლიტვა) — აიკ (სტოკჰოლმი“, შვეცია) 0-2
„ჰაფნარფიორდური“ (ისლანდია) — „ლინფილდი“ (ჩრ. ირლანდია) 1-0
„სკონტო“ (რიგა, ლატვია) — „აბერდინი“ (შოტლანდია) 0-0
„ინტერი“ (კარდიფი, უელსი) — გკს (კატოვიცე, პოლონეთი) 0-2
„გრევენმაჰერი“ (ლუქსემბურგი) — „რუსენბორგი“ (ნორვეგია) 1-2
„არაუ“ (შვეიცარია) — „მურა“ (სლოვენია) 1-0
„ანორთოსისი“ (კვიპროსი) — „შუმენი“ (ბულგარეთი) 2-0
„ვარდარი“ (მაკედონია) — „ბეკეშჩაბა“ (უნგრეთი) 1-1
„ოლიმპია“ (ლუბლიანა, სლოვენია) — „ლევსკი“ (ბულგარეთი) 3-2
„ფენერბახჩე“ (თურქეთი) — „ტურანი“ (აზერბაიჯანი) 5-0
„ლა ვალეტა“ (მალტა) — „რაპიდი“ (ბუქარესტი, რუმინეთი) 2-6
„კიშპეშტ ჰონვედი“ (უნგრეთი) — „ზიმბრული“ (კიშინიოვი, მოლდოვა) 4-1
ცსკა (სოფია, ბულგარეთი) — „არარატი“ (ერევანი, სომხეთი) 3-0
„დინამო“ (მინსკი, ბელარუსი) — „ჰიბერნიანსი“ (მალტა) 3-1
„ტეუტა“ (ალბანეთი) — „აპოლონი“ (კვიპროსი) 1-4
„არისი“ (სალონიკი, საბერძნეთი) — „აპოელი“ (ბერ-შევა, ისრაელი) 3-1

საპასუხო მატჩები გაიმართება 23 აგვისტოს.

● როგორც იტყობინებიან, ცნობილი არგენტინელი ფეხბურთელი, ნაკრების ყოფილი კაპიტანი, მსოფლიო ჩემპიონი დანიელ პასარელა დაინიშნა ამ ქვეყნის ნაკრების მთავარ მწვრთნელად.

● გაიმართა გერმანიის სუპერთასის მატჩი, ერთმანეთს შეხვდნენ „ბაიერნი“ (მიუნხენი) და „ვერდერი“ (ბრემენი) ე.ი. ქვეყნის ჩემპიონი და თასის მფლობელი. თამაშის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 1-1, დამატებით დროში წარმატებას „ვერდერმა“ მიაღწია — 3-1.

● დაიწყო ავსტრიის ჩემპიონატი. აი პირველი წრის შეხვედრათა რამდენიმე შედეგი: „ლასკი“ — „კაზინო“ 0-0, „მედლინგი“ — „აუსტრია“ 1-1, „რაპიდი“ — „ადმირა“ 2-2, „შტურმი“ — „ფორვერტსი“ 1-1, „ვაკერი“ — „ლინცი“ 3-0.

## ფეხბურთის ამბები

● დაინიშნა უნგრეთის ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი. ეს გახლავთ ცნობილი სპეციალისტი კალმაი მესეი, რომელიც უნგრელთა ეროვნულ ნაკრებს ადრეც ხელმძღვანელობდა 1980-1983 და 1990--91 წლებში. შემდეგ მესეი საუდის არაბეთს გაემგზავრა, კვლავ დაუბრუნდა ბუდაპეშტს, სადაც „ვაშაშს“ წვრთნიდა, ახლა კი უნგრეთის ნაკრების მთავარ პოსტზე დადგა.

● რუმინეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ანხელ იორდანესკუმ, რომელმაც სახელი გაითქვა ახლანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე ამერიკის შეერთებულ შტატებში, განაცხადა, რომ 1996 წლის ბოლომდე დარჩება რუმინეთის ნაკრების ხელმძღვანელად.

● ცნობილმა ბულგარელმა ფეხბურთელმა ხრისტო სტოიჩკოვმა საქველმოქმედო მიზნით 50 ათასი დოლარი შესწირა ბულგარეთის ბავშვთა დახმარების ფონდს.

● ამ ბოლო ხანებში ბევრი ლაპარაკი იყო რუსეთის ნაკრების წევრის, მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელ ომარ თეთრაძის სხვა კლუბში გადასვლის თაობაზე. მაგრამ როგორც ამ კლუბის დირექტორთა საბჭოს თათბირზე გადაწყდა, ო. თეთრაძე მოსკოვის „დინამოში“ დარჩება კონტრაქტის დასასრულამდე, ე.ი. წლის ბოლომდე.



# ქალმა თუ გაიწია...

**ბოლო დროს ქალთა სპორტმა უფრო გაბედულად, უფრო თამამად შეუტია იმ ბასტიონებს, რომელთა დათმობასაც მამაკაცები ჯერ არ აპირებენ. ბევრ სახეობაში მწვავე კონკურენციაა გაჩაღებული მაღალი შედეგებისათვის, რეკორდებისათვის. ასე ფიქრობს პოპულარული გერმანული „შპორტ ბილდი“.**

მეცნიერები უკვე არც მალავენ, რომ ახლო მომავალში მშვენიერთა სქესის წარმომადგენლები საკმაოდ ინტენსიურად შეუტევენ მამაკაცთა რეკორდებს და ზოგიერთ სახეობაში გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწევენ. თუმცა, კიოლნის ფიზიკური კულტურის უმაღლესი სკოლის პროფესორი ვილდორ ჰოლმანი არ იზიარებს ამ იდეას და სხვაგვარად ფიქრობს. იგი საკმაოდ ინტენსიურად მუშაობდა ქალთა სპორტის საკითხებზე, ამიტომაც მისი აზრი ანგარიშგასაწევია, როცა ამბობს: „ქალები ვერასოდეს აჯობებენ მამაკაცებს, ვთქვათ, მარათონულ რბენაში, ვინაიდან 42 კილომეტრი მათთვის... მოკლე მანძილია. ქალთა სქესის წარმომადგენლებს შეუძლიათ დაწინაურება, ვთქვათ, 4-საათიან რბენაში, რაც იმას ნიშნავს, რომ გამძლეობის საქმე მათ უკეთ აქვთ მოგვარებული“. სხვათა შორის, ამ მხრივ ინტერესმოკლებული არ იქნება წარსულის რომელიმე ლეგენდარული სტაიერის შედეგების გახსენება. 1928 წლის ოლიმპიურ თამაშებზე 10.000 მეტრზე რბენა მოიგო ლეგენდარულმა ფინელმა პაავო ნურმიმ იმ დროისათვის დაუჯერებელი შედეგით — 30.18,8. ოთხიოდე წლის წინ იმავე დისტანციას ნორვეგიელი ინგრიდ კრისტიანსენ-ნურმიზე უკეთეს დროში (30.13,74) ფარავდა.

არადა, ქალები ყველაზე უფრო დაჩაგრულად თავს მძლეოსნობაში თვლიდნენ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სხვა დისციპლინებში მათ, უბრალოდ, არაფერი ესაქმებოდათ: გზა ამ სახეობებისკენ დახშული იყო. ახლა, მდგომარეობა ძირფესვიანად იცვლება.

ადრე სხვადასხვა სამედიცინო კომისიებში მხოლოდ მამაკაცები მუშაობდნენ და ვერდიქტიც, ბუნებრივია, მათ გამოჰქონდათ: ამა და ამ სახეობაში ქალებს არა აქვთ უფლება ივარჯიშონ, ესა და ეს დისციპლინა მხოლოდ მამაკაცებისთვისაა განკუთვნილიო. 30-იან წლებში ასე ჩამოერთვათ ქალებს ჰოკით ხტომის უფლება. მოტივაცია მარტივი იყო: ჰოკით ხტომა ხელს უშლის შობადობას. ჰოლმანის აზრით ეს ყველაფერი სისულელეა.

გერმანიაში, მაგალითად, ქალებს ჰოკით ხტომის უფლება აქვთ, მაგრამ ჩემპიონატები არ ტარდება იმიტომ, რომ ძალზე დაბალ შედეგებს აჩვენებენ. ვის მოხიბლავთ სანახაობით, როცა მოასპარეზენი რის ვაი-ვაგლახით სძლევენ 2-მეტრიან სიმაღლეს (ბუნებრივია, ჰოკით)? ასევე ჯერ ნაადრევია მწვანე შუქზე ფიქრი ქალებისათვის უროს ტყორცნაში. რატომ იღებენ ასეთ მძიმე დატვირთვებს ქალები თავის თავზე? — კითხულობს ჰოლმანი და იქვე იძლევა პასუხს — იმიტომ, რომ კონკურენცია მცირეა და თავის გამოჩენის მეტი შესაძლებლობაა. მაგრამ არის ზოგიერთი სახეობა, რომელშიც მეცადინეობის სურვილი გერმანელ ქალებს არ გამოუთქვამთ. ესაა ბობსლეი და თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა...

## მკითხველი — გაზეთი

● სადღაც ამოვიკითხე, რომ პოლონელი მოკრივე პეტშიკოვსკი ევროპული რინგის რეკორდსმენიაო. იქნებ განმიმარტოთ რატომაა იგი რეკორდსმენად მიჩნეული?

ნუკრი მოდებაძე

ზბიგნევ პეტშიკოვსკი მართლაც უნიკალური მოვლენაა ევროპული კრივის ისტორიაში. რეკორდსმენად მიიჩნევენ მას იმიტომ, რომ ხუთჯერ მიიღო მონაწილეობა კონტინენტის ჩემპიონატში, ოთხი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვა, თანაც სამ სხვადასხვა წონაში. ჩემპიონი გახდა პირველად 1955 წელს პირველ საშუალო წონაში. ორი წლის შემდეგ გაიმეორა ეს წარმატება, ოღონდ, უკვე მეორე საშუალოში. 1959 და 63 წლებში იგი პირველი იყო ქვემძიმე წონაში, 1961 წელს კი ვერცხლის მედალს დაეუფლა.

ამას გარდა პეტშიკოვსკი სამი ოლიმპიადის პრიზიორია. 1960 წელს მან ვერცხლის ჯილდო დაიმსახურა (ქვემძიმეში), 1956 და 64 წლებში კი ბრინჯაოსი (შესაბამისად პირველ, საშუალო და ქვემძიმე წონებში).

ზბიგნევ პეტშიკოვსკი დაიბადა 1934 წლის 4 ოქტომბერს ბელსკში (პოლონეთი).

● არსებობს თუ არა მსოფლიოს რეკორდების რეგისტრაცია თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომაში?

გრიგოლ ხერხეულიძე

მსოფლიოს რეკორდი ტრამპლინიდან ხტომაში პირველად 110 წლის წინ დაფიქსირდა. საერთოდ, სპორტის ამ სახეობის სამშობლო ნორვეგიაა და, ამდენად, გასაკვირი არაა, რომ რეკორდსმენთა შორის აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ ამ ქვეყანას წარმოადგენდა. ჩვენი საუკუნის დასაწყისისთვის რეკორდმა 35 მეტრს მიაღწია. ეს მაშინდელი მასშტაბით შესანიშნავი მიღწევა იყო.

36 წლის შემდეგ ავსტრიელმა ი. ბრადლმა პირველად გადალახა 100-მეტრიანი ზღვარი. 1968 წელს მისმა თანამემამულემ რ. ბახლერმა ფანტასტიკური ნახტომი შეასრულა 154 მეტრზე. მერე დაიწყო ზემძლავრი ტრამპლინების მშენებლობა. 1972 წელს ერთერთ ასეთ ტრამპლინზე (პლანიცაში, იუგოსლავია) მოეწყო მსოფლიოს ჩემპიონატი.

ბოლო წლებში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ფინელმა მ. ნიუკიაინენმა, რომელმაც რეკორდის ჭერი 191 მეტრამდე აიყვანა. მერე დღის წესრიგში დადგა 200-მეტრიანი ზღვარის დაძლევა, მაგრამ ამასობაში მოთხილამურეებს მოუსწრო კანონმა არენის მოედნისა და გამორბენის ბილიკის ზომების შემცირების თაობაზე. ეს საჭირო იყო სპორტსმენთა უსაფრთხოების გარანტიებისთვის, ვინაიდან 200 მეტრზე ფრენა გარკვეულ ბიოლოგიურ რისკთან იყო დაკავშირებული.

● გაგვიგია, რომ გამოჩენილი ინგლისელი პოეტი ჯორჯ გორდონ ბაირონი თავისი დროისთვის საუკეთესო მოცურავე იყო. შეეფერება თუ არა ეს სინამდვილეს?

ციალა და ვახტანგ მეტონიძეები

ბაირონი ბავშვობიდან კოჭლი იყო და ამ ფიზიკური ნაკლის კომპენსაციას სპორტში რეგულარული ვარჯიშით ცდილობდა. თქვენ მართალი ხართ, ვინაიდან მას, თურმე განსაკუთრებით უყვარდა ცურვა. კემბრიჯის უნივერსიტეტის კოლეჯში სწავლის დროს იგი წყალქვეშ ყვინთვით იყო გატაცებული და 5 მეტრის სიღრმიდან ამოჰქონდა მცირე ზომის საგნები, ასე გასინჯეთ, შილინგის მცირე მონეტაც კი.

მერე, როცა უკვე სახელოვანი პოეტი გახდა, დღეში ორჯერ სისტემატურად ვარჯიშობდა ტემზაში. 1810 წლის 3 მაისს მან დარდანელის სრუტე გადასცურა: სტარტი აიღო ევროპაში და რამდენიმე საათის შემდეგ თავი ამოჰყო აზიის სანაპიროზე.

ბაირონს იმდენად უყვარდა ცურვა და ისე იყო გატაცებული ამ სპორტით, რომ თავის სასახლეში (ნიუსტენდი) დახურული საცურაო აუზი ააშენა, რომელიც პირველი იყო მთელს ბრიტანეთში.

## პროფესიული რინგის ამბები

● ინდიანას შტატის ფედერალური ციხის პატიმარი მაიკ ტაისონი კვლავ დიდი პოპულარობით სარგებლობს ამერიკელ ახალგაზრდებში. სწორედ ამ პოპულარობის გამოვლენა გახლავთ ის, რომ არც ისე დიდი ხნის წინათ მასზე მხატვრული ფილმის გადაღება დაიწყეს. ავტორთა კოლექტივის განცხადებით ფილმი ოთხსაათიანი იქნება და, ალბათ, სამ სერიაში განაწილდება. მოსამზადებელი მუშაობის დროს ყველაზე რთული პრობლემა მსახიობთა შერჩევა იყო. ტაისონის როლზე გაისინჯა ათასამდე პრეტენდენტი. ბოლოს არჩევანი შეჩერდა ბრუკლინელ ყმაწვილ მაიკლ ჯეი. უაიტზე, რომელიც გარეგნულად ძალიან ჰგავს მსოფლიოს ექსჩემპიონს.

● ლონდონში აუქციონზე გაიყიდა კრივის გულშემატკივრებისთვის საოცნებო ორი სუვენირი: მოჰამედ ალისა და როკი მარჩიანოს ხელთათმანები. ორივე „რელიქვია“ შეიძინა ცნობილმა ინგლისელმა არბიტრმა როლანდ დეიკენმა, რომელიც 38 წელია პროფესიულ რინგს ემსახურება.

ალის ხელთათმანებში მან 1320 გირვანქა სტერლინგი გადაიხადა, რაც 2033 დოლარს შეადგენს, მარჩიანოს „სუვენირი“ კი 1210 გირვანქად გაიყიდა. სხვათა შორის, ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ მსგავს აუქციონებზე, უკვე გაიყიდა ალის ათამდე ხელთათმანი.

● 17 სექტემბერს ახალ ორლეანში გაიმართება მატჩი მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის მჩატე წონაში ვბა-ს (მოკრივეთა მსოფლიო კავშირი) ვერსიით. ერთმანეთს შეხვდებიან ტიტულის დღევანდელი მფლობელი მექსიკელი ხულიო სესარ ჩავესი და ამერიკელი მელდრიკ ტეილორი. მატჩის ფორმულაა 15 რაუნდი.

● აგვისტოში პარიზში უნდა გამართულიყო ქვესაშუალო წონის მოკრივეთა შეხვედრა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისათვის ვბა-ს ვერსიით, უფრო სწორად, არგენტინელ ხულიო სესარ ვასკესს უნდა დაეცვა გვირგვინი რონალდ რაიტთან (აშშ) შეხვედრაში. მაგრამ, როგორც ცნობილი გახდა მატჩი გადატანილია ჯერჯერობით გაურკვეველი დროისათვის. მიზეზს მატჩის ორგანიზატორები არ ასახელებენ.

# სიძნელეთა მიუხედავად

**უნგრეთის ქალაქ სეგედში ახლახან დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატები ჭადრაკში გოგონათა და ჭაბუკთა შორის. ამის თაობაზე ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრა საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი სულიკო მეგრელიშვილი.**

— სეგედში მართლაც გრანდიოზული შეჯიბრება მოეწყო — თქვა დელეგაციის ხელმძღვანელმა, — ჩვენ იმთავითვე რთული პრობლემების წინაშე აღმოვჩნდით. უსახსრობის გამო ბოლო მომენტამდე გაურკვეველი იყო ვინ გაემგზავრებოდა უნგრეთში და ვინ — არა. რაიმე წინასწარ მომზადებაზე ან შეკრებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი გახლდათ. ასეთ პირობებში, ჩემი აზრით, ჩვენმა მოჭადრაკეებმა თვალსაჩინო წარმატება მოიპოვეს. არაოფიციალური ჩათვლით, მეორე ადგილი დავიკავეთ უკრაინის შემდეგ.

10 წლამდე გოგონათა შორის გორელი ნათია ფხაკაძე თამაშობდა, საერთაშორისო ოსტატ ციალა ქასოშვილის შვილი. თავიდანვე უნდა ვთქვა, რომ ყველა კატეგორიაში 9 ტური თამაშდებოდა ე.წ. შვეიცარიული სისტემით. ნათიამ, 6,5 ქულით მეოთხე ადგილი დაიკავა, რაც, ცხადია, კარგ შედეგად უნდა ჩაითვალოს.

12 წლამდე გოგონებს შორის ჩვენი ორი წარმომადგენელი გამოდიოდა. უკვე საკმაოდ ცნობილი თელაველი ანა მათნაძე და თბილისელი სოფიკო გვეტაძე. მათნაძემ ტურნირი წაუგებლად წარმართა, ოთხი პარტია მოიგო და ხუთი ყაიმით დაამთავრა. საერთოდ, მძიმედ თამაშობდა, ყაიმების რიცხვიც მეტად დიდია. შედეგსაც უკეთესს მოველოდით, ანა 6,5 ქულით მეხუთეზე გავიდა, გვეტაძემ 4,5 ქულა მოაგროვა.

ნამდვილად გაგვახარა სოხუმელმა ლტოლვილმა რუსუდან გოლეთიანმა, რომელიც 14 წლამდე გოგონებს შორის გამოდიოდა. იგი შესანიშნავად, დიდი სპორტული ჟინით თამაშობდა, 7,5 ქულა მოაგროვა და საბოლოოდ პირველი-მეორე ადგილები გაიყო დოროტა ივანჩიკთან (პოლონეთი). დამატებითი მონაცემების გათვალისწინებით მსოფლიო ჩემპიონობა სწორედ რუსუდან გოლეთიანმა მოიპოვა, რომელსაც დებულების თანახმად, ფიდეს ოსტატის წოდება მიენიჭა.

16 წლამდე გოგონებს შორის ასევე ძალიან კარგად ითამაშა ქუთაისელმა ნათია აფხაიძემ. მან 7 ქულით პირველი-მეორე ადგილები გაიყო ნატალია ჟუკოვასთან (უკრაინა), აქაც უძლიერესის ვინაობა გაირკვა დამატებითი მონაცემებით. მსოფლიო ჩემპიონი და ფიდეს ოსტატი ქართველი გოგონა გახდა. ამავე ტურნირში მონაწილეობდა უკვე საკმაოდ გამოცდილი ფიდეს ოსტატი სოფიკო ტყეშელაშვილი. მისგან მეტს მოველოდით. სოფიკოს კი ამჯერად არ გამოუვიდა თამაში — ექვსი ქულით მეცხრე ადგილი დაიკავა.

დაბოლოს, 18 წლამდე გოგონათა ჩემპიონატში პირველი ადგილი აშკარად ხელიდან გაუშვა, ჩვენი აზრით, ტურნირის უძლიერესმა მონაწილემ მაია ლომინეიშვილმა (მეორე-მესამე ადგილები 7 ქულით). ამავე ტურნირში მირანდა ხორავამ 6 ქულით მეშვიდე ადგილი დაიკავა.

ახლა ზოგი რამ ჭაბუკთა ასპარეზობის შესახებ.

10 წლამდე ნორჩებს შორის დუშელმა გიორგი ფარესაშვილმა 5 ქულა მოაგროვა. 12 წლამდე — ქუთაისელმა ვალერი გაფრინდაშვილმა — 5,5 ქულა, 14 წლამდე — თბილისელმა გიორგი ბახტაძემ — 5 ქულა.

16 წლამდე ჭაბუკთა ჩემპიონატი იმითაც იყო საინტერესო, რომ აქ მონაწილეობდა მსოფლიო ჭადრაკის ამომავალი უნგრელი ვარსკვლავი პეტერ ლაკო. ეს ის ლაკო გახლავთ, რომელმაც ამას წინათ თავისებური მსოფლიო რეკორდი დაამყარა — უფრო ადრე მოიპოვა საერთაშორისო დიდოსტატის წოდება, ვიდრე იუდით პოლგარმა და თვით რობერტ ფიშერმა. ჭაბუკი არაერთ დიდ ასპარეზობაში მონაწილეობდა. ჭაბუკთა შორის მისი თამაში ზოგს უხერხულადაც კი მიაჩნდა, მაგრამ უნგრეთის საჭადრაკო ფედერაციამ კატეგორიულად მოითხოვა ლაკოს ჩემპიონატში დაშვება. მან 8 პარტია მოიგო, 1 წააგო და მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ბოლო მეცხრე ტურში ჩვენს წარმომადგენელ სერგო მოვსესიანს მოუგო. სერჟომ 6 ქულით მერვე ადგილი დაიკავა.

დაბოლოს, გაგვახარა გიორგი ყაჭეიშვილმა, რომელიც 7 ქულით ესოდენ პრესტიჟულ კატეგორიაში მეორე ადგილზე გამოვიდა. მსოფლიო ჩემპიონი კი პეტერბურგელი პეტრე სვიდლერი გახდა — 7,5 ქულა. სვიდლერი უკვე რამდენიმე წელიწადია წარმატებით თამაშობს ჭაბუკთა მრავალრიცხოვან შეჯიბრებებში.

რა თქმა უნდა, გოგონათა და ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატებში მონაწილეობა დიდი სკოლაა და მომავალში მას ყოველმხრივ მომზადებული უნდა შევხვდეთ.

ჩაიწერა
გივი თორელმა.

## მხოლოდ ტექნიკური შედეგები

● **აფროსნობა.** მსოფლიოს ჩემპიონატი. ლა როშელი (საფრანგეთი). ლაზერის კლასი. 1. ბ. ფრანჩესკო (იტალია); „470". 1. დ. ბერიკსი (ინგლისი); „ხობიკეტ-16". 1. ე. ფიგეროა (პუერტო-რიკო); „ეჯი-24". 1. შვეცია — II. მსოფლიოს გუნდური თასი იტალიამ მოიგო.

● **ცხენოსნობა.** მსოფლიოს თამაშები. ჰააგა. დაბრკოლებათა გადალახვა. 1. ფრანკ სლოოტპაკი (გერმანია) — 0 საჯარიმო ქულა. მან მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონობაც. ოთხცხენიანი ეტლები (გუნდური). 1. გერმანია; ოთხცხენიანი ეტლები (პირადი). 1. გერმანია.

● **ველოსპორტი.** გზატკეცილი. „ტურ დე ფრანსი". ქალები. პარიზი. 1. ვალენტინა პოლხანოვა (რუსეთი).

● **ველოსპორტი.** გზატკეცილი. მსოფლიოს თასის ეტაპი. „სან-სებასტიანის გრან-პრი". (ესპანეთი). 238 კმ. 1. არმან დე კევი (საფრანგეთი) — 5:24. 37. ეტაპების ჯამში. 1. ანდრეი ჩმილი (მოლდოვა) — 115 ქულა. 2. იოჰან მიუზეუვი (ბელგია) — 90. 3. ჯორჯო ფურლანი (იტალია) — 75; 4. ლენს არმსტრონგი (აშშ) — 70.)

● **რალი-რეიდი** (ავტომობილიზმი) „ბაია-იტალია". ეტაპი. 1. პიერ ლარტიგი (საფრანგეთი).

# ისევ „თეთრაძის საქმეზე"

გაიმართა მოსკოვის „დინამოს" ფეხბურთელთა კლუბის დირექტორთა საბჭოს სხდომა, რომელმაც სხვა საკითხებთან ერთად განიხილა საკმაოდ გახმაურებული „თეთრაძის" საქმე". გუნდის უფროსი მწვრთნელის კონსტანტინე ბესკოვის გადაწყვეტილება ფეხბურთელის კლუბიდან დათხოვნის თაობაზე დროებით, კონტრაქტის ვადის გასვლამდე შეჩერებულია. მოსკოვის „დინამოს" ხელშეკრულება ომარ თეთრაძესთან მიმდინარე წლის ბოლომდე ჰქონია გაფორმებული.



# ... ამჯერად სელეშის გულშემატკივრები

ერთი წლის წინ ჩოგბურთელ ქალთა ჰამბურგის საერთაშორისო ტურნირზე საგანგებო შემთხვევა მოხდა: მანიაკმა, რომელიც თავის თავს შტეფი გრაფის გულშემატკივრად ასაღებდა, საოჯახო დანით დაჭრა მსოფლიოს მაშინდელი პირველი ჩოგბურთელი მონიკა სელეში. წლეულს იმავე ტურნირის ორგანიზატორებმა უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მიიღეს.

ჯერ ერთი, შეჯიბრების ყოველ მონაწილეს იცავდა ორი სპეციალურად ამ საქმისთვის გამოყოფილი მცველი. ისინი ჩოგბურთელებს დაჰყვებოდნენ გასახდელიდან კორტამდე და თვალს არ აშორებდნენ თამაშის დროს. ამავე დროს, სტადიონი სავსე იყო ფორმიანი და გადაცმული პოლიციელებით. საეჭვო მაყურებელს ისინი მაშინვე ჩხრეკდნენ და სტადიონიდან აძევებდნენ. კორტის გაყოლებით პირველ რიგებში ისხდნენ მხოლოდ აკრედიტებული ჟურნალისტები, ფოტორეპორტიორები და... გადაცმული პოლიციელები. უშიშროების სამსახურის თანამშრომლებს დარიგებული ჰქონდათ „პოტენციური დამნაშავეების" ფოტოსურათები, იმათი, ვინც უკვე შემჩნეული იქვნენ სხვადასხვა ხულიგნურ ქმედებაში.

ამის მიუხედავად, ექსტრემული სიტუაცია მაინც შეიქმნა, როცა ჰამბურგის გაზეთმა „მორგენპოსტმა" დაბეჭდა ხელნაწერი მუქარის ასლი, რომელიც ამჯერად შტეფი გრაფმა მიიღო. მუქარაში კერძოდ ნათქვამი იყო: „თუ გრაფი გაბედავს ტურნირში გამოსვლას, მას უსათუოდ დაესხმებიან თავს სელეშის მეგობრები, თანაც ჩვენ საოჯახო დანას კი არ გამოვიყენებთ, არამედ სხვა უფრო ძლიერ საშუალებას." განცხადებას ხელს აწერდნენ „სელეშის გულშემატკივრები".

გრაფმა არაფრად ჩააგდო მუქარა, აი, პოლიციელებს კი მთელი ტურნირის მანძილზე მოსვენება ჰქონდათ დაკარგული, თუმცა ბოლოს ყველაფერი უხიფათოდ დასრულდა და წერილიც ბლეფი გამოდგა.

# პროფესიონალებში საუკეთესონი

ამას წინათ გამოქვეყნდა პროფესიონალ ველოსიპედისტთა ოფიციალური მსოფლიო რეიტინგი, რომლის შედეგები ბევრი სპეციალისტისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. თუმცა კომპიუტერს ამაში, ალბათ ვერ დავადანაშაულებთ. მან ადეკვატური რეაქცია მისცა ინფორმაციაზე, რომელიც მიაწოდეს. ისე კი გაკვირვება გამოიწვია მხოლოდ შვეიცარიელი ტონი რომინგერის „აღზევებამ" (მიგელ ინდურაინთან მიმართებაში), თუმცა ამასაც აქვს ალბათ გამართლება.

რომინგერზე ამბობენ, რომ მისი მთავარი დამსახურება ამ სამ „ვუელტაში" (ესპანეთის ტური) გამარჯვებააო, მაგრამ რატომღაც არ ახსენებენ იმ ერთდღიან რბოლებს, რომლებშიც გამოიჩინა თავი წლეულს შვეიცარიელმა ველოსიპედისტმა. მანქანამაც სწორედ ამიტომ დააყენა იგი „ტურ დე ფრანსის" ოთხგზის ჩემპიონ ინდურაინზე წინ. მეორე მოულოდნელობად მიიჩნიეს რუსი ევგენი ბერზინის მესამე ადგილი რეიტინგში. თუმცა, გამართლება ამასაც აქვს. ბერზინმა წლეულს „ჯირო დ'იტალია" მოიგო, ეს კი ალბათ რაღაცას ნიშნავს. გთავაზობთ პროფესიონალთა პირველ ათეულს:

1. ტონი რომინგერი (შვეიცარია) — 2324
2. მიგელ ინდურაინი (ესპანეთი) — 2084
3. ევგენი ბერზინი (რუსეთი) — 1454
4. კლაუდიო კიაპუჩი (იტალია) — 1374
5. მაურიციო ფონდრიესტი (იტალია) — 1248
6. პასკალ რიშარი (შვეიცარია) — 1206
7. იოჰან მიუზევი (ბელგია) — 1192
8. ჯორჯო ფურლანი (იტალია) — 1127
9. როლან ჟალაბერი (საფრანგეთი) — 1061
10. ვიაჩესლავ ეკიმოვი (რუსეთი) — 1037

## ფურცლები ახლო წარსულიდან

# შერკინება ჩაიშალა...

„ხობში ძველი დროიდან არსებობს მშვენიერი მონასტერი ადგილობრივი მცხოვრებლებისთვის. აშენებულია მაღალ მთიან ადგილზე და გარშემო უძევს მშვენიერი ველი და მინდორი, ხე-მამულებით დაბურული. აქ, ველზედ, ყოველ წლობით იმართება იარმუკა პირველ მარიობისთვითგან 18-მდე და ეძახიან ხობის მონასტრის იარმუკობას". წრეულსაც ხობის მონასტრის იარმუკა შესანიშნავად იყო მოწყობილი ჩვეულებრივ: დროებით გამართეს კარვები, უანგარიშო საქონლით გამოტენილი. დარიც მშვენიერი და სასიამოვნო დაუდგათ და ალებ-მიცემა გვარიანი იყო. ამდენმა სხვა სოფ. დაბა-ქალაქიდან ჩამოსულმა ხალხმა და საზოგადოებამ ისურვა თავის შესაქცევი ან რაიმე საინტერესო წარმოდგენა გაემართათ და მთელმა საზოგადოებამ მიმართა ჩვენს მოჭიდავეს ნესტორ ესებუას და სთხოვა, ჭიდაობა გაემართა. ესებუაც დაეთანხმა და აღუთქვა, რომ 10 % მოგროვილ ფულისას მონასტრის სასარგებლოდ შეეწირავო. შემდეგ ქ. ფოთში დააბეჭდინა აფიშები ზუგდიდის მაზრის უფროსის ნება დართვით, და თავის მოპირდაპირედ გამოითხოვა ტფილისიდგან სახელ-განთქმული მოჭიდავე კულა გლდანელი. შემდეგ ამოარჩია ერთი მშვენიერი მოედანი, იქვე ახლოს და ფიცრით შემოზღუდა წრე.

ჭიდაობა ამ განთქმულ ფალავნებისა იყო დანიშნული 14-სა, ნაშუადღევის 4 საათზე, რადგანაც ხალხი ამ დროს მოზღვავებულია. წინა დღესვე, ე.ი. 13-სა, ტფილისიდან მოჭიდავე გლდანელი დაფა ზურნით ჩამოვიდა ხობში. დანიშნულ დღეს ბილეთების საყიდლად მოაწყდა ხალხი, რომელიც ჭიანჭველასავით ირეოდა. ხალხის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მანეთიან ბილეთს ორ მანეთად ჰყიდულობდნენ. დასაჯდომი ადგილისთვის ბილეთებს ველარ ჰშოულობდნენ. აგერ გამოვიდნენ თავიანთ ტანის სამოსით ფალავნები საჭიდაოდ. ამ დროს გამოვიდა დუქნიდან თავისის ექვსი ყაზახით ზუგდიდის ბოქაულის თანაშემწე ბ-ნი გაბუნია და დასძახა ყაზახებს: „პკათ მაგათაო". მივარდნენ საჭიდაო წრეს და ერთ წამს ყოველივე საჭიდაო მორთულობა მილეწ-მოლეწეს, სულ ლუკმა-ლუკმა აქციეს. ამასთან მიადგნენ ხალხს და სულ მათრახების ცემით მირეკ-მორეკეს. ყაზახების შიშით სანყალი დედა-ქალები ერთმანეთს ეცნენ და დიდი წივილ-კივილი შეიქმნა.

ამ დროს რაღაც ჟივილ-ხივილი მოისმა. თურმე იქ, სადაც ბ-ნი გაბუნია შეექცეოდა პურს, ხანჯლების ტრიალი ასტყდა და ერთმანეთს ჩეხვა დაუწყეს. სხვათა შორის ბრძოლაში ერთ უბრალო სანყალ გლეხს იარადას გული გაუპეს.

„ივერია",
1891 წ. 4 სექტემბერი.

**მინაწერი.** დასანანია, რომ შერკინება ჩაიშალა. არა და, ერთი საინტერესო ფურცელი ჩაიწერებოდა ქართული ჭიდაობის ისტორიაში.

## სპორტული ტელეეკრანი

„ოსტანკინო"
20 აგვისტო. 8.15. სპორტშანსი
21 აგვისტო. 8.20 ოლიმპიური დილა.
8.50. სპორტლოტო.

„როსია"
20 აგვისტო. 16.20. ფეხბურთი უსაზღვრებოდ.
23.30. სპორტული კარუსელი.
21. აგვისტო. 23.30 სპორტული კარუსელი.

გაზეთის დღევანდელი ნომერი აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემით.
ხელმძღვანელი: გ. სიმონიშვილი.
შემსრულებლები: ე. მანგოშვილი, ნ. რამიშვილი.

სარედაქციო კოლეგია

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380096, მ. კოსტავას, 14. ტელეფონი 99-56-14, 99-56-47. ინდექსი 66435 INDEX. დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოში".